

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ”

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებს უნდა მიენიჭოთ სახელმწიფო სპეციალური წოდებები.

##### ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებზე გავრცელდეს „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვები და საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებს მიენიჭოთ სახელმწიფო სპეციალური წოდებები.

##### ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებით „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ იმ დაწესებულებათა ნუსხას, რომელთა მოსამსახურეებს ენიჭებათ სახელმწიფო სპეციალური წოდებები, დაემატება საქართველოს დაზვერვის სამსახური.

კანონის პროექტი ასევე ითვალისწინებს „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში მე-5<sup>4</sup> მუხლის დამატებას, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს დაზვერვის სამსახურში დასაწესებელი წოდებების ჩამონათვალი.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროდან.

ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

გ.ბ.) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ.) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

### დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა.) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შეთანხმებულია აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან.

დ.ბ.) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ.) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი